პროექტი

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № ------

ქ. თბილისი ---- ----------2015 წ.

ერთი მხრივ შპს „რუხის სავაჭრო ცენტრი” ს/კ 404484704 (შემდგომში – „მეაუქციონე“), წარმოდგენილი დირექტორის – **ტარიელ გაბუნიას** სახით და მეორე მხრივ ---------- (შემდგომში: „გამარჯვებული პრეტენდენტი”), წარმოდგენილი ---------- სახით,

შპს „რუხის სავაჭრო ცენტრის” მიერ **დაუმთავრებელი** ნაგებობების დემონტაჟის მიზნით ვებ-გვერდ www.eauction.ge-ის მეშვეობით გამოცხადებული **ელექტრონული** აუქციონის (აუქციონის №--------) შედეგების, სააუქციონო პირობების და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაზე (შემდგომში „ხელშეკრულება“) ხელმოწერის გზით შევთანხმდით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების თანახმად, „გამარჯვებული პრეტენდენტი” იღებს ვალდებულებას, სადემონტაჟო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის (ხელშეკრულების დანართი №1), მოქმედი კანონმდებლობის, წესების, სტანდარტების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, უზრუნველყოს შპს „რუხის სავაჭრო ცენტრის” კუთვნილ **№43.10.42.170; 43.10.42.177; 43.10.42.154** საკადასტრო კოდის მქონე მიწის ნაკვეთზე მდებარე ნაგებობების სადემონტაჟო სამუშაოები (შემდგომში: „სამუშაო“) შესრულება.

1.2. ხელშეკრულების 1.1. პუნქტში მითითებული სამუშაოების შესრულების სანაცვლოდ „გამარჯვებული პრეტენდენტის“ საკუთრებაში გადაეცემა დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალები, რომლის სანაცვლოდ “გამარჯვებული პრეტენდენტი” “მეაუქციონეს” უხდის ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ფასსა – ---------- ლარსა და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭირო, ხელშეკრულების გაფორმების თარიღისათვის უკვე გადახდილ საგარანტიო თანხას – -------- ლარს შორის სხვაობას – **---------- ლარს.**

1. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1. <u>„ გამარჯვებული პრეტენდენტი “ ვალდებულია:</u>

2.1.1. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

2.1.2. „სამუშაოები“ აწარმოოს საქართველოში მოქმედი ყველა შესაბამისი ნორმისა, წესების და დემონტაჟის პროექტის დაცვით;

2.1.3. სამუშაოების დაწყებამდე საკუთარი ხარჯითა და ძალებით მოიპოვოს ყველა სანებართვო დოკუმენტაცია დემონტაჟის განსახორციელებლად შესაბამისი უწყებებიდან;

2.1.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას არ დააზიანოს ტერიტორიაზე არსებული სავალი გზა, შენობა ნაგებობების მიმდებარედ არსებული მწვანე საფარი, ნარგავები მიწის ქვეშა და მიწის ზედა როგორც საკაბელო ასევე მილ-გაყვანილობები;

2.1.5. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას „მეაუქციონე“ და მისი წარმომადგენლები „სამუშაოს“ შესრულების ადგილას;

2.1.6. საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს „მეაუქციონის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან როგორც მოწყობილობა-დანადგარების, ასევე მეორადი მასალებისა და სამშენებლო ნარჩენების გატანა;

2.1.7. უზრუნველყოს დემონტაჟის სამუშაოების იმგვარად ჩატარება და ტერიტორიის დასუფთავება, რომ შესაძლებელი იყოს აღნიშნულ მონაკვეთზე სხვა ობიექტების მშენებლობის განხორციელება;

2.1.8. გადაუხადოს "მეაუქციონეს" წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტში მითითებული თანხა წინამდებარე ხელშეკრულების მესამე მუხლის პირობების დაცვით.

<u>2.2. „ გამარჯვებული პრეტენდენტი “ უფლებამოსილია:</u>

2.2.1 მოთხოვოს „მეაუქციონეს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება;

<u>2.3. „ მეაუქციონე“ ვალდებულია:</u>

2.3.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

2.3.2. თავისი კომპეტენციისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფარგლებში, ხელი შეუწყოს „ გამარჯვებული პრეტენდენტის“ სამუშაოს ჯეროვნად შესრულებაში.

<u>2.3.3. „ მეაუქციონე“ უფლებამოსილია:</u>

2.4.1. მოსთხოვოს „გამარჯვებული პრეტენდენტს“ „სამუშაოს“ ჯეროვნად შესრულება;

2.4.2. გაუწიოს ინსპექტირება „სამუშაოს“ შესრულების პროცესს.

3. „სამუშაოების“ შესრულების ვადა მიღება-ჩაბარების წესი

3.1. „გამარჯვებული პრეტენდენტი“ ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული „სამუშაოების“ (სანებართვო დოკუმენტაციების მოპოვება, სადემონტაჟო სამუშაოები, ტერიტორიიდან დემონტაჟის შედეგად მიღებული სამშენებლო მასალების გატანა და დასუფთავება) შესრულება დაასრულოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.2. „ხელშეკრულებით“ ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებით „გამარჯვებული პრეტენდენტს“ და „მეაუქციონეს“ შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტები, რომელსაც ხელი უნდა მოაწერენ მხარეთა მიერ უფლებამოსილმა პირებმა. „მხარეებს“ ვალდებულებები შესრულებულად ჩაითვლებათ მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4. ანგარიშსწორების პირობები

4.1 ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ფასსა – ---- ლარს და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭირო საგარანტიო თანხას – ----- ლარს შორის სხვაობა – **---------- ლარი** „გამარჯვებულმა პრეტენდენტმა“ უნდა გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ "მეაუქციონეს" საბანკო ანგარიშზე უნაღდო ანგარიშსწორების გზით;

4.2. ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ფასი მოიცავს ყველა სახელმწიფო გადასახადს, არაპირდაპირი გადასახადების ჩათვლით;

5. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1. „გამარჯვებული პრეტენდენტი“ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებულ „სამუშაოს“ არ ექნება რაიმე ნაკლი. წინააღმდეგ შემთხვევაში „გამარჯვებული პრეტენდენტი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას არსებული ნაკლი, „მეაუქციონის“ მიერ ნაკლის გამოვლენის თაობაზე მისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში.

5.2. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვეს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.3. „სამუშაოს“ შესრულების შედეგად „მეაუქციონისათვის“ ან მისი თანამშრომლებისთვის, ასევე გარემოსათვის და ნებისმიერი მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება ეკისრება „გამარჯვებული პრეტენდენტს“.

5.4 იმ შემთხვევაში, თუ „გამარჯვებული პრეტენდენტის“ მიერ ელექტრონულ აუქციონზე დაფიქსირებული ფასსა - ---- ლარს და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭირო საგარანტიო თანხას – ----- ლარს შორის სხვაობის – **---- ლარის** გადახდა არ მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო გადასახდელი თნხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე (აღნიშნული ვალდებულებების სრულ შესრულებამდე).

5.5. იმ შემთხვევაში თუ ამ ხელშეკრულების 4.4 მუხლში მითითებული ხარვეზის აღმოფხვრას (გადასახდელი თანხისა და პირგასამტეხლოს სრულად გადახდას) „გამარჯვებული პრეტენდენტი” ვერ მოახერხებს 10 კალენდარული დღის განმავლობაში, „მეაუქციონე” უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და „გამარჯვებული პრეტენდენტს” ეძლევა 7 დღიანი ვადა სამუშაოების შესრულების ტერიტორიის საკუთარი ტექნიკისა და მუშა ხელისაგან დასაცლელად.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ „გამარჯვებული პრეტენდენტი“ ვერ დაასრულებს „სამუშაოებს“ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ან/და ამავე ვადაში არ გაიტანს დემონტაჟის შედეგად მიღებულ სამშენებლო მასალებს, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგაცილებულ დღეზე, -----(გადასახდელი თანხა) ლარის 1%-ის ოდენობით (აღნიშნული ვალდებულებების სრულ შესრულებამდე).

5.7. იმ შემთხვევაში თუ „გამარჯვებული პრეტენდენტი” 14 კალენდარული დღის განმავლობაში ვერ მოახერხებს ამ ხელშეკრულების 5.6 მუხლით განსაზღვრული ხარვეზის აღმოფხვრას (დემონტაჟის შედეგად მიღებულ სამშენებლო მასალების სრულად გატანას), „მეაუქციონე” უფლებამოსია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

5.8. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში 5.7 პუნქტის საფუძველზე “გამარჯვებული პრეტენდენტი” კარგავს ხელშეკრულების დადების მომენტისთვის “მეუქციონეს” ანგარიშზე უკვე ჩარიცხული საგარანტიო თანხის -------- ლარის მოთხოვნის უფლებას.

5.9. „გამარჯვებული პრეტენდენტის“ მიერ პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.

5.10. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5.11. „გამარჯვებული პრეტენდენტი“ ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია შენობა-ნაგებობის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, „გამარჯვებული პრეტენდენტი“ „მეაუქციონის“ მიმართ არ გამოთქვამს არანაირ პრეტენზიას შენობა-ნაგებობის ხარისხთან ან სხვა გარემოებებთან დაკავშირებით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

6.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).

6.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

6.3. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულებების ამოწურვამდე;

7.2. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან. მხარეთა მიერ ხელმოწერილი ნებისმიერი ცვლილება/დანართი/დამატება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და რუსულ ენებზე, თანაბარი იურიდული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.

8.2. მხარეები შეეცდებიან, რომ მათ შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ყველა სადავო საკითხი გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

8.3. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა ნაწილების ნამდვილობაზე.

9. მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები: